სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

'991
ოთხშაბათი
16
ოქტომბერი
№ 116 (10509)
ფასი 5 კაპ.

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურისა და საკრებულოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

11 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მეორე სესიის მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი, რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წევრები.

დღის წესრიგის ერთ-ერთი პირველი საკითხი იყო ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლის ნორმებისათვის კანონის კონსტიტუციური ძალის მინიჭება და საქართველოს რესპუბლიკაში მათი პირდაპირი მოქმედება. დეპუტატებმა საფუძვლიანად განიხილეს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის ჯონი ხეცურიანის მიერ ამ საკითხზე წარმოდგენილი საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი და მიიღეს იგი. კანონის პროექტი ითვალისწინებს დაემატოს რესპუბლიკის კონსტიტუციას მუხლი იმის შესახებ, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორმები საქართველოს რესპუბლიკის სამართლის შემადგენელი ნაწილია, რომ მათ აქვთ უპირატესობა საქართველოს რესპუბლიკის კანონების წინაშე და უშუალოდ ქმნიან უფლებებსა და მოვალეობებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის, როგორც ნათქვამია ამ მუხლში, საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებული ადამიანის ყველა უფლება და თავისუფლება უზრუნველყოფილია სასამართლო დაცვით.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა მანანა ძიძუაშვილმა დეპუტატებს აცნობა მიმდინარე წლის 2 სექტემბერ 5 ოქტომბრის პერიოდში თბილისში მომხდარი ამბების დროს დაზარალებულთა კონკრეტული რიცხვი.

შემდეგ უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს რესპუბლიკის კანონი რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ, რომლის თანახმად იმ თანამდებობათა რიცხვში, რომელთა დანიშვნისათვის საქართველოს პრეზიდენტს სჭირდება პარლამენტის თანხმობა, შეტანილი არიან კომიტეტებისა და დეპარტამენტების ხელმძღვანელებიც. შესაბამისი ცვლილებები და დამატებები შეტანილი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ კანონშიც.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ბესარიონ გუგუშვილმა უზენაეს საბჭოს დაწვრილებით გააცნო ინფორმაცია ეკონომიკურ რეფორმასთან დაკავშირებით. მისი დეტალური და საფუძვლიანი განხილვის შემდეგ უზენაესმა საბჭომ ცნობად მიიღო ეს ინფორმაცია.

რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს დაევალა გადამწყვეტი ღონისძიებანი განახორციელოს ეკონომიკური რეფორმის დაჩქარებისათვის.

უზენაესმა საბჭომ მიიღო მიმართვა სსრ კავშირის პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვისადმი რუსეთის სფსრ პრეზიდენტის ბორის ელცინისადმი, სსრ კავშირის სახელმწიფო საბჭოსა და რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოსადმი, რომელშიც გამოთქმულია მტკიცე პროტესტი სამაჩაბლოში ვითარების გამწვავების გამო, რაც გამოწვეულია სუვერენული საქართველოს საშინაო საქმეებში გარედან ჩარევის ცდებით, და მოთხოვნა გაიყვანონ ამ რეგიონიდან სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები, რომელთა ყოფნა იქ უკანონოა.

სხდომა გვიან საღამომდე გაგრძელდა.

საქინფორმი.

# გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებათა შესახებ

დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. დამტკიცდეს გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს მომწყობი კომისიის შემადგენლობა და საიუბილეო ღონისძიებათა გეგმა.

2. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის [illegible], საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდ[illegible] დეპარტამენტმა, საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტმა, თბილისის მერიამ, ვანის რაიონის პრეფექტურამ, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა საინფორმაციო სააგენტო „საქართველომ“, საქართველოს მწერალთა კავშირმა, საქართველოს მხატვართა კავშირმა და მისმა ფონდმა, რესპუბლიკის შემოქმედებითმა ორგანიზაციებმა მიიღონ ზომები გალაკტიონ ტაბიძის 100 წლისთავის ღონისძიებათა განსახორციელებლად.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი
ბ. გუგუშვილი

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი
ა. ლანდია

# „რა ორივე დაღალულნი...“

ჩვენი ხსნა ერთობაშია

უჭირს საქართველოს. ძალზე რთულმა, დაძაბულმა პოლიტიკურმა ვითარებამ, შინააშლილობამ სამოქალაქო ომის ზღურბლთან მიგვიყვანა, რომლის იქით დიდი უფსკრულია. ამ უფსკრულში კი პირდაღებული თველს ისე იმეტებს თითქოს და ჩვენი მიწაწყლის ასაოხრებლად შემოსეული თურქი ან მონღოლი ყოფილიყოს. ასე მზადდება ნოყიერი ნიადაგი საქართველოში „ჩვენი უფროსი ძმების“ სასარგებლოდ, რარიგ

შავი ვეშაპია ჩასაფრებული, რომელსაც არ გაუჭირდება ჩვენი გადასანსვლა. სულ სხვა საქმეა, შეძლებს თუ არა ურჩხული მის მონელებას. შეიძლება ვინმეს ეს ძალზე გაზვიადებულ გამონათქვამად მოეჩვენოს, მაგრამ ვაი, რომ ამაში არაფერია გადამეტებული. საქართველო ამჟამად ღენთით დატემილ კასრს წააგავს, რისთვისაც საკმარისია ერთი პატარა ნაპერწკალი რომ წვითა და დაგვით მოპოვებული თავისუფლება დაგვაკარგვინოს. ორივე დაპირისპირებულმა მხარემ, ხალხის ნებით არჩეულმა ხელისუფლებამ და ოპოზიციამ შესანიშნავად იცის, რომ რაც ახლა საქართველოში ხდება მესამე ძალის მიერ არის ინსპირირებული, რომ დღეს ყველაფერი კრემლის სცენარით ქთდება.

რომელი ძალა გნებავთ ის დაარქვით. ეს არ არის მთავარი, მთავარი ის არის რომ ძალთა დაპირისპირების შედეგად საქართველოში დაძაბულობამ ზენიტს მიაღწია. მეტი რაღა გვინდა. ქართველმა ხმალი გააშიშვლა და არც აპირებს ქარქაშში ჩაგებას. რას მივაღწევთ ამით? მტერს გავახარებთ, დიდი ხნის სურვილს და იმ საწადელს შევუსრულებთ, რომელიც სიზმარშიაც ოცნებად ჰქონდა გადაქცეული.

მესამე ძალა კი დიდი მოთმინებით უყურებს ჩვენს შინა აშლილობას, ძმათა სისხლის ღვრას, ალბათ ემზადება იმ დღისათვის როცა ორივე დაპირისპირებულ ძალას არაქათი გამოეცლება, „ძმური დახმარების ხელს გამოგვიწვდის“ და შინისმოგებით იმასაც გვეტყვის:

„ძმებო ქართველებო“! თქვენს გონზე მოსვლას საშველი არ დაადგა. რა ვქნათ, თუ არ ჩაგვერიეთ ერთმანეთს ამოჟუჟავთ და თითზე ჩამოსათვლელი დარჩებით საქართველოში.

ვაი, რომ ამაში სიმართლის ელემენტები ურევია. ერთმანეთს დავერიეთ, ქართველი ქართველს გვახსენებს თავს სამშობლოდან გადახვეწილი დიდი პოეტი დავით გურამიშვილი თავისი პოემით „ქართლის ჭირით“. თითქოს დღევანდელობის მომსწრე ყოფილიყოს და საკუთარი თვალით ენახოს რუსთაველის პროსპექტის შუაგულ აღმართული ბარიკადები, ორ სექტემბერს კინოს სახლის წინ დარბეული მშვიდობიანი მიტინგი და ხუთ ოქტომბრის ღამეს მთავრობის სასახლეზე მიტანილი იერიში.

„მერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი, და თავისთავს ხმალი იცეს, გულთა მოახვედრეს ხიშტი! ვით მამალი სხვის მამალსა, დაჰმტერდეს და წაეკიდოს, მასა სცემოს, თვით იცემოს, დაქოჩროს და დაეკიდოს, რა ორნივე დაღალულნი, ძაღლმან ნახოს პირი ჰკიდოს. ევრეთ ქართლი და კახეთი, დარჩა თურქთა, ლეკთა დიდოს!“

მტერს დიდი ბრძოლა არ დასჭირდება. უკვე მესამედ მოაქცევს საქართველოს თავის იმპერიულ კლანჭებში. ეს ყველამ კარგად ვიცით მაგრამ შერიგება და კომპრომისებზე წასვლა ძალზე გვიჭირს.

რამდენიც არ უნდა გვიმტკიცონ ოპონენტებმა ვერ დაგვარწმუნებენ, რომ რაიმე სასიკეთო ძვრები მოჰყვებოდა აგარასთან რკინიგზისა და ავტომაგისტრალის ბლოკირებას გამორიცხული არ არის, რომ ამ დროს ბლოკირებული მატარებელში თუ ავტობუსებში ისეთი ავადმყოფებიც იყვნენ რომლებიც დედაქალაქის სამკურნალო დაწესებულებებში მიეშურებოდნენ და ყოველი გაცდენილი წუთი სიცოცხლის ფასად უჯდებოდათ. ინტერესმოკლებული არაა ვიკითხოთ, რა გამართლებას მოუძებნიდნენ ასეთ ფაქტებს გზის პიკეტირების ორგანიზატორები?

უნდა ვიცოდეთ რომ ჩვენი ხსნა გზების გადაკეტვასა და [illegible] ახლეობის შევიწროებაში კი არა, ერთიანობაშია.

# საქართველოს ერთიანობა გადაარჩენს

## მხოლოდ აზრთა დაპირისპირებით

შვირფასო თანამემამულენო, ძმებო, შვილებო! დღეს უკვე ნათელი არავისთვის არის, რომ ფიზიკური დაპირისპირებით დაძაბულ და აფეთქებასთან ვითარებაში, როდესაც საქართველოს ბედი წყდება.

ნუთუ ჩვენ, თავისუფლებისმოყვარე ქართველებმა, ვერ შევიმშვენეთ დემოკრატია, მრავალპარტიული პარლამენტი?

უდავოდ უგუნურებაა ის, რასაც ოპოზიცია სჩადის. ისინი საშუალებას არ აძლევენ პარლამენტს იმუშაოს, დაწყებული საქმე ავად თუ კარგად ბოლომდე მიიყვანოს, დაამტკიცოს თავისი ღირსება თუ უუნარობა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხალხი დაკანონებული დროის შემდეგ თვითონვე, თავისი ნებისდაკვალად უარყოფდა ძველ, უვარგის პარლამენტს და შექმნიდა ახალს — პროგრესულს, ჰუმანურს, ქმედითუნარიანს.

მაგრამ არა! ვიღიცას საქართველოში ქაოსი, არეულობა და ძმათაშორის სისხლი სჭირდება. ამბიციებით დაბრმავებულნი მტრის ანკესზე წამოეგნენ...

ნუ, ძმებო, სირცხვილს ნუ ვაჭმევთ მრავალ ჭირგადანახად საქართველოს. რამ გვძლია, რა მოგვერია ამაყ ქართველებს? გონს მოვეგოთ. საქართველოში ქართველის ხელით ქართველის სისხლი როგორ უნდა დაიღვაროს! ახლა მტოვებულ ზვრებსა და ყანებს მიხედვა სჭირდება. ახლა გულხეცი რუსთაველის გამზირს კი არა, მინდორ-ველში ჭირნახულს უნდა დასტრიალებდეს თავს.

ძმებო, შვილებო, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ქრისტეს მცნება: „არა კაც ჰკლა, განაგდე შენგან შური". ვიყოთ ჩვენი საყვარელი საქართველოს — ჩვენი მშობელი საქართველოს ღირსეულნი.

ახლა მთავარია ურთიერთმხარდაჭერა, ანგარიშგაწევა, ერთიანობა, საზოგადო საქმისა და სამშობლოს სამსახურის საკუთარ ინტერესებზე მაღლა დაყენება. ახლა ჩვენთვის უმთავრესია — დაუყოვნებლივ წერტილის დასმა კონფრონტაციისათვის და ქვეყნის საარსებო საკითხების გადაწყვეტა მხოლოდ აზრთა და არა იარაღით დაპირისპირების გზით.

ვ. ჯღამაია,
ვეტერანი პედაგოგი.

## ნუ დავკარგავთ ღირსებას

შეუძლებელია საღად მოაზროვნე ადამიანი არ დაგალონოს თბილისში ამ ბოლო დროს დატრიალებულმა ამბებმა. ვნებათა ღელვამ მართლაც გადალახა ყოველგვარი საზღვარი და საშიშროების ზღურბლს მიუახლოვდა. ქუჩებზე შფოთვა და არეულობა. ხალხს არა აქვს საშუალება მიიღოს ობიექტური ინფორმაცია. უცქერი ამდაგვარ ვითარებას და გიჭირს შეეკითხო ყველა იმათ, ვინც ახეთი დესტაბილიზაციის წამომწყებია. ნუთუ დემოკრატიის ერთგულება ამას ნიშნავს? ეს ხომ სრული ანარქიაა, რომელიც არამც და არამც არ მეტყველებს ერის ცივილიზებულობაზე, შეგნებასა და კულტურაზე. ერთი წუთითაც არ ვემიჯნები იმ მოქალაქეებს, რომელთაც [illegible] რამ არ მოსწონთ ჩვენს სინამდვილეში. არის თუ არა ცალკეული ანომალიები, შეცდომები ქვეყნის მართვის სფეროში? კი ბატონო, ნამდვილად არის. და ამას ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლებიც არ მალავენ. ტოტალიტარული რეჟიმიდან ტანჯვაწვალებით გამოვდივართ. ჯერ რაღა თქმა უნდა შორსა ვართ იმ სტრუქტურებისაგან, რომლებშიაც უნდა ვიცხოვროთ. წინ გვიდევს თავისუფალ მოქალაქეთა საზოგადოების შექმნის უძნელესი გზა, სადაც დემოკრატიულმა ინსტიტუტებმა უნდა შეისხან ხორცი. მაგრამ უმადურობა იქნება იმის დაუნახაობა, რომ ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს. შორსა ვარ იმ მოსაზრებისაგან, რომ ქუჩის დემოკრატიის ამ აზვირთებაში მხოლოდ ნეგატიური მომენტები დავინახო. მასში უდაოდ ისმის ჯანსაღი, რაციონალური აზრის ტონალობაც. მისი კეთილმყოფელი გავლენაც იკვეთება. საქართველოს პარლამენტმა გადადგა ქმედითი ნაბიჯები ეკონომიკის ლიბერალიზაციის სფეროში. ადამიანები თანდათან უფრო რეალურად იგრძნობენ რეფორმების სიკეთეს. მინიმუმამდე შემცირდება სახელმწიფო სტრუქტურების მონოპოლია ყველა სფეროში. ეს ყველაფერი მოხდება. მაგრამ მანამდე? ხომ არ გვეკადრება ქცევის ცივილიზებული ფორმების, კანონთა უზენაესობის დავიწყება? იფუნქციონიროს ოპოზიციამ, მაგრამ მხოლოდ კონსტრუქციულმა და არა მიუღებელ ულტიმატუმებზე აგებულმა.

მჯერა და მწამს, რომ თანდათან ყველაფერი კალაპოტში ჩადგება. ქართველი ხალხი ბოლოს და ბოლოს მიხვდება, რომ კონფრონტაციის გზა დამღუპველია. თავისუფალ საქართველომდე მხოლოდ თანხმობის, ურთიერთ მიმტევებლობის გზამ უნდა მიგვიყვანოს.

მაყვალა ნარმანია,
პედაგოგი.

## ერის სინდისი

1989 წლის 18 ოქტომბერს მძიმე დღე დაუდგა სრულიად საქართველოს.. რიკოთის უღელტეხილზე, სოფელ ბორითთან ავტოკატასტროფის შედეგად დაიღუპა უდრეკი მამულიშვილი, ერის სინდისი, უსაზღვრო ბატიოსნებითა და უანგარობით გამორჩეული, სიკეთისა და სიყვარულის მთესველი, ქართველი ერის მტრების რისხვა, მრავალგზის ტანჯული ციმბირის ციხეებსა თუ საკონცენტრაციო ბანაკებში, ეროვნული მოძრაობის ჭეშმარიტი რაინდი — მერაბ კოსტავა...

განგების ნებამ, რომლის თვითონაც დიდად სწამდა, წამების გზაზე ატარა ეს უებრო ვაჟკაცი, რომლის უპირველესი სალოცავი საქართველო იყო.

მძიმე გზა გაიარა მერაბ კოსტავამ. პირველი რეპრესია 1956 წელს განიცადა, როდესაც ის დააპატიმრეს სხვა აქტივისტებთან ერთად თბილისში საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ მოწოდების პროკლამაციების გავრცელებისათვის. მას წაყენებული ჰქონდა ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის ბრალდება და საშინელი განსაცდელი ელოდა, მაგრამ ხელისუფლებამ იმის შიშით, რომ მერაბ კოსტავას და მისი თანამებრძოლების დაპატიმრებით კიდევ უფრო დაიძაბებოდა მდგომარეობა საქართველოში, რაც გამოწვეული იყო 1956 წლის 9 მარტს თბილისში ქართველი ახალგაზრდების ხოცვა-ჟლეტით, ანტისახელმწიფოებრივი ბრალდება, ხულიგნური ბრალდებით შეუცვალეს და 6 თვე მიუსაჯეს. ციხიდან გამოსვლის შემდეგ მან კვლავ განაგრძო ბრძოლა ადამიანის უფლებების დასაცავად, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, რისთვისაც ის სუკის განუწყვეტელი თვალთვალისა და პროვოკაციის ობიექტი იყო.

70-იან წლებში ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ შექმნეს ადამიანის უფლებათა დაცვის ქართული საინიციატივო ჯგუფი. ისინი გამოსცემდნენ თვითგამოცემით ჟურნალებს, სადაც მერაბის გამოქვეყნებული ჰქონდა მრავალი პუბ[illegible] ეროვნულ თემაზე. რა[illegible] მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფორმირებაში. ჰელსინკის ჯგუფის შექმნის გამო ხელისუფლებმა უმალ მიმართეს მათ საწინააღმდეგო სასტიკ ზომებს და ორი თვის შემდეგ ისინი დააპატიმრეს. მათ წაუყენეს ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდის ბრალდება, რის ძალითაც ორივე სამი წლით გამოამწყვდიეს მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების ბანაკებში. საშინელი წამებითა და დამცირებებით აღსავსე ამ სასჯელის მოხდის შემდეგ, როცა მისი შემდგომი ორწლიანი გადასახლების ვადაც იწურებოდა მერაბ კოსტავას საზიზღარი პროვოკაცია მოუწყო სუკმა იმ მიზნით, რომ აღეკვეთა სამშობლოში დაბრუნება, რაც კიდევ უფრო გააძლიერებდა უკვე საკმაოდ გაძლიერებულ მოძრაობას. ამის შედეგად მერაბ კოსტავა კიდევ ხუთი წლით ჩასვეს საპყრობილეში, მას არც პატიმრობაში შეუწყვეტია ბრძოლა ადამიანის უფლებებისათვის. მოაწყო არაერთი საშიმშილო გაფიცვა. მერაბ კოსტავამ სასჯელი მოიხადა, მაგრამ მის წინააღმდეგ ახალი ბრალდება შეაკოწიწეს, ათი წელი მიუსაჯეს და ისევ საპყრობილეში დატოვეს.

1987 წელს მერაბ კოსტავა გაათავისუფლეს პოლიტპატიმრობიდან. მან ახალი ძალითა და შემართებით განაგრძო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. უკანასკნელ დროს საქართველოში არცერთი მნიშვნელოვანი ეროვნულ-პატრიოტული აქცია არ ჩატარებულა, რომ მას არ მიეღო მასში უაქტიურესი მონაწილეობა. იგი ერის პატრიოტი იყო მაშინაც კი, როდესაც ეს დიდ რისკთან იყო დაკავშირებული.

1989 წლის 4-9 აპრილის გრანდიოზულ მანიფესტაციაზე მერაბ კოსტავა თავისი ოპტიმისტური შეძახილებით ამხნევებდა აქციაში მონაწილე მოშიმშილეთ, მზრუნველ მამასავით თავს დასტრიალებდა შიმშილით მინავლებულ გოგო-ბიჭებს, ხოლო 9 აპრილს გამთენიისას საბჭოთა არმიის მიერ მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევის შემდეგ ხელისუფლებმა ზვიად გამსახურდიასთან, გიორგი ჭანტურიასთან და ირაკლი წერეთელთან ერთად კვლავ დაიჭირეს და საპყრობილეში ჩასვეს. ვინ იცის როგორ წარიმართებოდა მათი ბედი რომ არ აღმსდგარიყო სრულიად საქართველო, რის შედეგადაც ისინი გაათავისუფლეს.

მერაბ კოსტავამ მის უახლოეს თანამებრძოლებთან ერთად ერი გამოაღვიძა. ის ისეთი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ქართველ საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტივისტთა შორის, თავისი თავმდაბლობის, გულკეთილობის, პრინციპულობისა და სპეტაკი სიწმინდის წყალობით, რომ მას სამართლიანად მიიჩნევდნენ ამ მოძრაობის ერთ-ერთ წამყვან ბურჯად.

მერაბ კოსტავას უდიდესი წვლილი მიუძღვის ქვემო ქართლში, შიდა ქართლში, აჭარასა თუ აფხაზეთში იმ ხანად სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნებაში.

1989 წლის 15-16 ივლისს აფხაზ ექსტრემისტების მიერ წამოწყებულმა ბრძოლამ ქართველების მიმართ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. მერაბმა აქაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ორივე მხარის „დაშოშმინებაში", თუმცა მსხვერპლის თავიდან მაინც დავვჭირდა... ზუგდიდელებს არასოდეს დაავიწყდებათ ეს დღეები, მართალია საომარი განწყობილება იყო, მაგრამ საოცრად ამაღლებულიც, რადგან მთელი საქართველო იმ დღეებში ჩვენს ქალაქში იყრიდა თავს. ნეტავ იმ დროს, რა ერთ მუშტად ვიყავით შეკრული მთელი საქართველო!..

1989 წლის 11 ოქტომბერს თბილისში, რუსთაველის მოედანზე, ჩატარდა მრავალათასკაციანი მანიფესტაცია, სადაც სიტყვით გამოვიდა მერაბ კოსტავა, ეს იყო მისი უკანასკნელი საჯარო. გამოსვლა, რომელიც შემდეგი სიტყვებით დაასრულა — ან გამარჯვება ან სიკვდილი!..

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდის ერთ-ერთი დამაარსებელი გახლდათ მერაბ კოსტავა, რომელმაც ერთი დღით ადრე იმ ტრაგიკულ შემთხვევამდე, რომელმაც მისი სიცოცხლე ასე ვერაგულად შეიწირა, შექმნა წერილი — მიმართვა ქართველი ერისადმი. მაშინ არავინ უწყოდა, რომ ამ წერილს მეორე დღესვე ეწერა ანდერძად ქცეულიყო... დიდი პატივით დაიტირა მერაბ კოსტავა სრულიად საქართველომ, მისი სული ზეცით ამაღლდა...

ზუგდიდში ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩა მერაბის სახელს ატარებს, ხოლო 1989 წლის 29 დეკემბერს ზუგდიდის მე-2 საშუალო სკოლას, რომელიც ადრე ლენინური კომკავშირის სახელს ატარებდა, ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას სახელი ეწოდა. სამწუხაროდ ქალაქის მაშინდელი ხელმძღვანელობის სამარცხვინოდ აღნიშნული სკოლის მოსწავლეებს სამდღიანი გაფიცვა დასჭირდათ მიზნის მისაღწევად...

მერაბ კოსტავა არა მხოლოდ პოლიტიკოსი იყო, არამედ უხათუთესი, უსპეტაკესი სულის პოეტი, ნიჭიერი მუსიკოსი... მერაბი ის სანთელი იყო, რომელიც იწვოდა და სხვებს გზას უნათებდა...

სამწუხაროა, მაგრამ უნდა გაღიაროთ, რომ მერაბის სიკვდილის შემდეგ რატომღაც აიშვეს უწმინდური ძალებმა საქართველოში. შური, ურთიერთმტრობა და სიძულვილი, განხეთქილება, მლიქვნელობა, სიყალბე დაეპატრონა თავისუფლებისათვის ბრძოლის წმინდა ასპარეზს და მერაბ კოსტავას სახით არ არის ძალა, რომელიც ამ უწმინდურობას, უმსგავსოებას, უკეთურობას წინ აღუდგება... და აქ ყველას ერთი კითხვის პასუხი აინტერესებს თუ ბარიკადების რომელ მხარეს დადგებოდა მერაბი დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო. ამ კითხვაზე საქართველოში სხვადასხვა პასუხი არსებობს, მე კი ვიტყოდი: მერაბი რომ დღეს ცოცხალი ყოფილიყო საქმე აქამდე არც მივიდოდა.

მერაბ კოსტავა — სამშობლოს ბედუკუღმართ წარსულსა და აწმყოზე მოფიქრალი, მისი ნათელი მერმისისათვის თავგანწირული პიროვნება იყო... მისი თავგანწირვა აუცილებლად გამოიღებს კეთილ ნაყოფს, ოღონდ ერთობით, მხოლოდ ერთობით, ისე, როგორც ეს მას სწამდა, ისე როგორც ეს მას სჯეროდა!..

რონი თირქია,
ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრის დასის მმართველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შთაბეჭდილება

# სასარგებლო ნაშრომი

ათეული წლების განმავლობაში მრავალმხრივი და ინტენსიური მუშაობა აქვთ ჩატარებული ზუგდიდელ მელიორატორებს. მკაცრ კლიმატურ პირობებში ეს ხელმარჯვე, საერთო საქმით გულანთებული ადამიანები ატარებენ სამელიორაციო და საირიგაციო საექსპლოატაციო სამუშაოებს. მათი მიზანი იმთავითვე იყო სრულყოფილად გამოყენება ისეთი მნიშვნელოვანი რეზერვისა, როგორიცაა კოლხეთის დაბლობის მიწები.

დაშრობითი და მისი ეფექტიანად გამოყენების ღონისძიებებს აგერ უკვე რამდენი ხანია გეგმაზომიერად, ერთიანი ძალისხმევით, კოორდინირებულად ახორციელებენ ტრესტ „კოლხიდმშენის" მოძრავ - მექანიზირებული სამშენებლო №8 კოლონა, რესპუბლიკური გაერთიანება „საქწყალექსპლოატაციის" მოძრავი მექანიზირებული №9 კოლონა და მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო. ყოველ მათგანს აქვს თავისი შრომითი ბიოგრაფია, წარმატებებისა და დროებითი შეფერხებების პერიოდები. ამ ურთულეს უბანზე კეთილსინდისიერად ილვწოდნენ პროფესიაზე შეყვარებული, კვალიფიციური მექანიზატორები და ინჟინერ-ტექნიკოსთა კადრები.

სწორედ ამ დამაშვრალ ადამიანთა საქმიანობის ცოცხალ მემატიანეს წარმოადგენს ილუსტრაციებით დამშვენებული კრებული „მელიორირებული მიწების გამოყენება და ეფექტიანობა ზუგდიდის რაიონში", რომლის შემდგენელია ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი მ. მაღიშვილი, რომელიც უკანასკნელ დრომდე სათავეში ედგა ზუგდიდის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს. სისტემაში ათეულ წლობით ნაშრომ-ნაღვაწ ამ ამაგდარ ადამიანს, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტსა და ახალბედების დამრიგებელს აღნიშნულ კრებულში თავი მოუყრია საინტერესო მასალებისთვის, რომლითაც არა მარტო ისტორია იკითხება, არამედ მეტად საჭირო და დროული რეკომენდაციებიც მიეწოდება დარგის წინსვლით დაინტერესებულ პირებს.

ნაშრომში კუთვნილი პატივი მიეგო კოლხეთის მიწების დაშრობა-ათვისების საქმეში დიდი წვლილის შემტან სხვადასხვა თაობის ადამიანებს.

კრებული თავისი შინაარსით და სულისკვეთებით ეხმიანება დღევანდელობას, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი საქართველოს ეკონომიკის აღორძინების ინტერესებს. აქ პირდაპირ გაისმის მოწოდება, მკაცრად მივსდიოთ მეცნიერულ რეკომენდაციებს. რეგიონის მიწების კომპლექსური დაშრობა, სატუმბო სადგურებისა და გზების მშენებლობა, ღია არხებისა და სფერიული კვლების მოწყობა. ამ ღონისძიებების გატარების დროს, — გვაფრთხილებს ავტორი, ბუნებას უნდა მოვეპყრათ ძალიან ფრთხილად. არ უნდა დავუშვათ აჩქარებული და დაუფიქრებელი გადაწყვეტილება მელიორაციის საკითხის განხილვის დროს.

ნაშრომი უერ···იბას იქცევს პოლიგრაფიული დონითაც. ამ საქმეში კი დიდია თბილისის ფერადი ბეჭდვის სტამბისა და მისი დირექტორის, ქალბატონ ეთერ ყავლაშვილის წვლილი.

ჯ. თელია.

## ჯანგო, აჟღერდი შენ ძველებურად

ცხოვრების ჩვეული რიტმი დაგვერღვა. პოლიტიკური ვნებათა ღელვა დღემდე არ ცხრება. სოციალური და ეკონომიკური ხიძნელეები ერთობ პირქუშს ხდის რეალობას, რომელიც თითქოს არც ტოვებს დროს და ადგილს სულიერი კომფორტისათვის. მაგრამ ჟამთა სვლას ჭიუტად თავისი გააქვს. ადამიანი ნებისმიერ სიტუაციაში მაინც ორიენტირებულია კულტურულ ღირებულებებზე. და ეს შინაგანი ესთეტიკური მოთხოვნილება თავად მას ხდის უფრო სასურველსა და ახლობელს მოყვასისათვის.

ამჟამად ერთი შეხედვით თითქოს მყუდროებას დაუსადგურებია ქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო კერებში. მაგრამ ეს შთაბეჭდილება მაინც გარეგნულია. ყოველი მათგანი საინტერესო ძიებით არის გართული, ერთი წუთითაც არ დუნდება შემოქმედებითი მუხტი.

სწორედ ამ ფიქრით და სურვილით აღვსილმა ვესაუბრე ამასწინათ რედაქციაში მოსულ თამაზ მოსიას. მკითხველმა იცის, რომ ეს ნიჭიერი ხელოვანი უკვე კარგა ხანია სათავეში უდგას ზუგდიდის მუსიკალური საზოგადოების გამგეობას.

# და მალე სიმშვიდეც მოვა...

ჩვენი დიალოგი დაიწყო კითხვით:

—ბატონო თამაზ, სიმართლე გითხრათ, მაყურებელს მოენატრა თქვენი ხელოვნება, თუნდაც სახელოვანი „ჩელას" კოლექტივთან შეხვედრა. დაღლილ და განაწამებ სულს მართლაც რომ მალამოდ დაედება ქართული ცეკვის დაუოკებელი რიტმი, დოლ-ჭიპლარდონიდან ატეხილი ჰანგების ცეცხლი და იდუმალება. როდის დაარღვევთ ამ ერთგვარი დუმილის პერიოდს?

—ჩემთვის, პროფესიონალი ხელოვანისთვის სასიამოვნოა იმ ფაქტის კონსტატაცია, რომ საუკუნეთა მანძილზე მარად თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველობას ცეკვა და სიმღერა, საერთოდ მუსიკა სულის ნაწილად, ყოფის მოუცილებელ კომპონენტად მიაჩნდა. ახლაც ასეა. ის, რაც ვერ შეძლეს ჩვენმა მამებმა, შვილებმა უნდა გავაკეთოთ. მომავალი წინ გვიძევს. სამშობლოს სიყვარულით გულქანთებული ახალგაზრდობა ამაყად მიუყვება ეროვნული ბრძოლის გზას. ოღონდ მთავარია დამოუკიდებლობის იდეა დავაყენოთ ყველაფერზე მაღლა. შევკავშირდეთ, გავძლიერდეთ და ვიხსნათ მამული ტყვეობიდან. ამ ბრძოლაში ჩვენს ხალხს საიმედო მოკავშირედ ეყოლება ცეკვა და სიმღერა, რომელიც საყოველთაო ბრძოლის ყიჟინას ქართველი კაცის ატკივებული სულის ამოძახილსაც მატებს.

მოგეხსენებათ, დღეს მეტად დამაღონებელი ყოფარებაა საქართველოში. მაგრამ ჩვენ მაინც ვახერხებთ შემოქმედებითი ტონუსის შენარჩუნებას. ერთი წუთითაც არ ვაპირებთ ცხოვრების რიტმიდან ამოვარდნას. საზოგადოებაში მიმდინარეობს ხანგრძლივი თანადო მუშაობა. როგორც კი შენელდება, დაწყნარდება კონფლიქტური სიტუაციები, ჩვენი თვითშემოქმედი კოლექტივები საინტერესო რეპერტუარს შესთავაზებენ მაყურებელს.

—რომელ ეპიზოდს გამოყოფდით მიმდინარე წელს თქვენი საზოგადოების მუშაობიდან?

—წლევანდელი წლის ღირსშესანიშნავი მოვლენა გახლდათ ჩვენი საზოგადოების ანსამბლ „ჩელას" მიწვევა ქალაქ კიევში საქართველოს საუკეთესო კოლექტივებთან ერთად. იქ ჩატარებულ ქართული კულტურის დღეებს მასპინძლობდა უკრაინის კულტურულ - საგანმანათლებლო ცენტრი „მეგობრობა" და დავით გურამიშვილის სახელობის საქართველო-უკრაინის კულტურულ ურთიერთობათა ასოციაცია, რომლის პრეზიდენტია ჩვენი თანამემამულე რაულ ჩილაჩავა. ჩვენს გამოსვლებს დიდი მოწონება ხვდა. უკრაინელებმა მათთვის ჩვეული გულთბილობა შემოგვაგებეს.

და რაოდენ სასიხარულოა, რომ უკრაინელი მეგობრები ამ დღეებში საპასუხო ვიზიტით გვეწვივნენ ზუგდიდში. სტუმართა ხელოვნებას აღფრთოვანებით შეხვდნენ ზუგდიდელები. კერძოდ, ეროვნული ხიბლი და კოლორიტი, ქართველი კაცის დიდსულოვნება სტუმრებშა მთელი სისავსით შეიგრძნეს ჩვენს სოფლებში.

მუსიკალური საზოგადოება ყოველნაირად ცდილობს დროის მაჯისცემას აუბას მხარი, სულიერი ხალისი, კეთილი ტონუსი მიანიჭოს ხალხს. დარწმუნებული ვარ, ჩვენს მამულს დაუბრუნდება სიმშვიდე, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას ღმერთი არ გასწირავს.


## ზუგდიდის მოქალაქენო!
## მოგმართავთ შრომის რეგიონალური ბირჟა

ზუგდიდის შრომის რეგიონალური ბირჟა წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის შრომის სოციალური დაცვის და დემოგრაფიის სამინისტროსთან არსებული. დასაქმების სახელმწიფო სისტემის შემადგენელ ნაწილს, რომელიც მოწოდებულია აღმოუჩინოს დახმარება ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის უმუშევარ მოქალაქეს სამუშაოზე მოწყობაში ხელშეწყობისა და მათი სოციალური გარანტიებით უზრუნველსაყოფად.

მოქალაქეთა რეგისტრაცია, რომლებიც ეძებენ სამუშაოს, ხორციელდება შრომის რეგიონალურ ბირჟებში. რეგისტრაციას ექვემდებარება ის შრომისუნარიანი მოქალაქე შრომისუნარიან ასაკში, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (საწარმოს ლიკვიდაცია, შტატების შემცირება, რეორგანიზაცია) არ აქვს სამუშაო ხელფასი (შრომითი შემოსავალი), ეძებს სამუშაოს და შრომის ბირჟა ვერ სთავაზობს მას შესაფერის სამუშაოს.

უმუშევარს, რომელსაც კმაყოფაზე ყავს შვილები და ოჯახის სხვა წევრები, თუ ისინი არსებული კანონმდებლობით არ ღებულობენ რაიმე სხვა სახის დახმარებას, შემწეობის ოდენობა უდიდდება კმაყოფაზე მყოფ თითოეულ წევრზე - პროცენტით, მაგრამ არა უმეტეს უკანასკნელ სამუშაო ადილზე მიღებული საშუალო ხელფასის ოდენობისა.

უმუშევარს, რომელიც განთავისუფლდა სასჯელის აღმასრულებელი ან იძულებითი მკურნალობის ადგილიდან და შრომის ბირჟაზე რეგისტრირებულია, როგორც სამუშაოს მაძიებელი, მიეცემა უმუშევრობისთვის შემწეობა დადგენილი მინიმალური ხელფასის 75 პროცენტის ოდენობით.

მოქალაქეთა რეგისტრაცია და აღრიცხვა წარმოებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. რისთვისაც მათ მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს პასპორტი; ···· ······ ······· ······ შრომის წიგნაკი, ცნობა წინა სამუშაო ადგილიდან საშუალო თვიური ხელფასის შესახებ; ცნობა სხვა ფულადი შემოსავლების შესახებ, განათლების ან სპეციალობის დამადასტურებელი საბუთი.

მოქალაქე, რომელიც პირველად ეძებს სამუშაოს და არა აქვს შრომის წიგნაკი, წარმოადგენს პასპორტს, განათლების, პროფესიული მომზადების დამადასტურებელ დიპლომს ან სხვა საბუთს. მოქალაქეს, რომელიც რეგისტრირებულია შრომის რეგიონალურ ბირჟაში, როგორც უმუშევარი, რეგისტრაციის დღიდან ერიცხება შემწეობა უმუშევრობისათვის. გადაწყვეტილებას მოქალაქისათვის უმუშევრობის სტატუსის მინიჭების შესახებ ღებულობს შრომის რეგიონალური ბირჟა. შემწეობის მიღების პერიოდი მოქალაქეს ეთვლება შრომის საერთო და უწყვეტ სტაჟში.

უმუშევრობის სტატუსი არ მიენიჭება და შესაბამისად არ მიეცემა შემწეობა მოქალაქეს:

ა) რომელიც სწავლობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში დღის დასწრებულ განყოფილებაზე.

ბ) რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების, სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ 6 თვის განმავლობაში არ იქნა რეგისტრირებული შრომის ბირჟაზე, როგორც სამუშაოს მაძიებელი.

გ) რომელიც პირველად ეძებს სამუშაოს და არა აქვს პროფესია იმ შემთხვევაში, თუ უარს აცხადებს ნებისმიერ ანაზღაურებად სამუშაოზე ან უარს აცხადებს გაიაროს პროფესიული მომზადება.

დ) რომელიც სამუშაოდან გათავისუფლდა პირადი განცხადების საფუძველზე ან განთავისუფლდა შრომის კანონმდებლობის, დისციპლინის დარღვევის გამო.

ე) რომელიც სამუშაოდან გათავისუფლდა ბირჟაზე მოსვლის დღისათვის ერთ წელზე მეტი ხნის წინ.

ვ) რომელიც ფიქსირებული წესით ღებულობს პენსიას;

ზ) რომელსაც აქვს რესპუბლიკაში დადგენილ მინიმალურ ხელფასზე მეტი (საკარმიდამო ნაკვეთიდან, ინდივიდუალურ საქმიანობით) სხვა ფულადი შემოსავალი.

ზემოთ აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეები შრომის ბირჟაზე რეგისტრირებული იქნებიან, როგორც სამუშაოს მაძიებელნი.

უმუშევრის სტატუსის მქონე მოქალაქეზე შემწეობის გაცემა ხორციელდება მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შემნახველი ბანკის მიერ, სადაც თვეში ერთხელ გადაირიცხება უმუშევრის კუთვნილი შემწეობის თანხა, მისი მეანაბრის წიგნაკის ანგარიშზე.

გამონთავისუფლებულ მუშაკს შემწეობა ეძლევა გამონთავისუფლების დღიდან 12 თვის განმავლობაში უმუშევრად მისი რეგისტრაციის დღიდან, პირველი სამი თვის განმავლობაში უმუშევრის შემწეობა მიეცემა შრომის ბირჟის მიერ ყოველთვიურად გაცემული შესაბამისი ცნობის საფუძველზე. შემდგომ 9 თვის განმავლობაში შემწეობას გასცემს შრომის ბირჟა. უმუშევარ მოქალაქეს შემწეობა უწყდება დღიდან მისი დასაქმებისა.

მისამართი: ზუგდიდი, კოლხეთის ქ. №11 (ყოფილი ლენინის ქუჩა). ტელ: 2—41—61.

# „ათასი მწუხრის წუხილი“

მწუხრის ჟამის წუხილი—მარ-თლაც და რამდენი!..

საქართველოში ვერავის გაუ-ვირვებ წუხილით, ცრემლით, გო-დებით, ძაძით, გულისტკივილით და მაინც არის რაღაც გამორ-ჩეული ტკივილი ხანდახან ჩვეუ-ლებრივ მოკვდავში გაოცებას, ამაღლებულის, ზეციურის შეგრ-ძნებას რომ ბადებს, არავის და არაფერს რომ არ წააგავს ოდ-ნავადაც...

ეს წმინდა სული საკურთხე-ველზე დანთებულ ერთ „წმინდა თაფლის სანთელს ჰგავს საქართ-ველოს ბედნიერი მომავლისათ-ვის მიტანილს მაცხოვრის ხატ-თან...

დღეს ყველა ჭეშმარიტი ქართ-ველისათვის, ახლობელი სახელია, საქართველოს თავისუფლებისათ-ვის დაფერფლილი კაცი, რომელ-იც ამ ცოტა ხნის წინ აფხაზ-ეთსა თუ სამაჩაბლოში პირვე-ლი იდგა ქართული მიწისა და ჭეშმარიტების დასაცავად.

ეს ბედისწერაა ღმერთის მიერ ბოძებული და ზეციური მადლით მირონცხებული. რაოდენ ამაზრ-ზენია, რომ მას, სულით ხორც-ამდე ქართველს, ახლა ქართვ-ელის ხელით მოკლული ჰქვია.

ღმერთო, გვაკმარე გულისტკი-ვილი!!! ღმერთო, ნათელში ამყო-ფე იმ ზეციურ საქართველოში, ჭეშმარიტი მამულიშვილის ნუგ-ზარ შარავას სული.

ზუგდიდის მწვანეები.

---

ქალაქ ზუგდიდს შეემატა კეთილმოწყობილი • აფთიაქი ცოტნე დადიანის ქუჩა №3-ში (ენგურჰესის კომუნალური სახლის პირველ სართულზე).

აფთიაქი მომარაგებულია როგორც სამამულო, ისე საზღ-ვარგარეთული წარმოების მედიკამენტებით, რომელიც შემოდის დღეის მდგომარეობით სააფთიაქო ბაზაში.

საჭიროების შემთხვევაში მიმართეთ ამ აფთიაქს.

ზაირა თორდია,

ზუგდიდის რეგიონალური ს-გ „ფარმაციის“ გენერალური დირექტორი.

---

ზურისსაცხობი კოოპერატივი „გვირა“ მსურველებს სთავაზობს პურის საცხობ ოთხ ღუმელს, ცომსაზელს ორი ქვაბით, ტრან-სფორმატორს.

მსურველებს შეუძლიათ მიაკი-თხონ მისამართზე: ქ. ზუგდი-დი, ეგრისის ქუჩა 80. ტელ: 2—64-65.

---

გაიხსენება

# კვლავაც დიდხანს

სამი წლის წინ გარდაიცვალა წუთისოფელს დარჩელის ჩაის ფაბრიკის ტექნოლოგი გერონტი მურადის ძე დანელია.

ომგადახდილი, საუკეთესო სპეციალისტი და უხინჯო მო-ქალაქე წლების მანძილზე ილვწოდა მრეწველობის მუშაკთა შორის.

ცოცხლობს და კვლავაც დიდხანს იცოცხლებს ხსოვნა ვალ-მოხდილისა.

მეგობრები.

---

# ლ. ა. ქობალია

გარდაიცვალა ომისა და შრო-მის ვეტერანი ლეონტი ალექ-სანდრეს ძე ქობალია.

იგი დაიბადა 1922 წელს სო-ფელ აბასთუმანში. აბასთუმნის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს არმიის რიგებ-ში. 1941-44 წლებში ებრძოდა ფაშისტ დამპყრობლებს. ნაჭრი-ლობევი, დემობილიზებული ამ-თავრებს ზუგდიდის სამასწავლე-ბლო ინსტიტუტს, შემდგომ თბი-ლისის პედინსტიტუტს და მუშ-აობას იწყებს საბერიშვილოს რვაწლიან სკოლაში ჯერ გეოგრა-ფიის მასწავლებლად, შემდგომ წლებში კი დირექტორად.

ომისა და შრომის ვეტერანს მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯი ლდოები.

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი ადამიანი, ახალგაზრდა თაობის აღმზრდელი და ქომაგი, ჩინე-ბული პედაგოგი, რომლის ნათე-ლი ხსოვნა მარად იცოცხლებს კოლეგების, აღზრდილების, თა-ნასოფლელების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

---

რედაქტორი აკ. შანშურია.

---

მაქვს ოროთახიანი ბინა მესამე სართულზე, კაპიტალური გარა-ჟით კურორტ მენჯში, ვცვლი ერთ ან ორ ოთახიან ბინაზე ზუგდიდის ცენტრში.

ცნობისათვის შეგიძლიათ დარ-ეკოთ ზუგდიდში ტელეფონით 2—62—66 ან ხოზი: რუსთაველ-ის ქ. №7-ში. ტელეფონი: 21—26.

---

მეუღლე მარია. შვილები: ვაჟა, იურა. ბონდო. ჯემალი. შვილიშვი-ლები: ანზორი. მერაბი. გელა. ლერი. დათო, გია. ვახტანგი, ვი-ტალი, ბაჩუკი, ქეთინო, ნინო. მაია, ინგა, შვილთაშვილები: სო-ფიკო, ზურიკო. გოგა, ნათია. თა-თია. მარიკა. ლანა. გელა, ნიკა, და ოლგა. სიძეები: დომე გუგუ-ჩია, ბადრი შენგელია, ბორისი გუგუჩია, რძლები: ანტისა, ლუნა, ლუიზა. ლარისა. სვეტა. დარეჯა-ნი. ემა. ლალი. ნატო, ცოლისდა აგრა ხუხუა, დისშვილები. ძმის-შვილები, დეიდაშვილები, მამიდა-შვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ბიქტორ გერასიმეს ძე ექონიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 17 ოქტომბერს 17 საათზე. გამოსვე-ნება ქ. ზუგდიდი, ჭალადიდელის ქ. 21.

---

დედა თამარი, მეუღლე მარინა ქარდავა, შვილები: გეგა, სანდრო, დები ნანული, გულიკო, დისშვი-ლი ინგა ხუბუტია, მამიდები ნა-თელა, ნაზი. ბიძა შაქრო ვეკუა, ბიცოლა ბაბულა, ბიძაშვილები: თოვლიკო. თინა. სვეტა, თემურ ვეკუები, მამიდაშვილები: ლიანა, ნინელი, მანანა, მაია. არონი თო-დუები, ქეთინო. პაატა მიქაძეები. სიმამრი ვალერიანი, სიდედრი ვალია, ცოლისძმა ვაჟა, ცოლისდა მანანა ქარდავები და ახლო ნათე-სავები იუწყებიან, რომ გარდა-იცვალა

**ირევაზ (თამაზი) სანდროს ძე ჟვანია**

პანაშვიდი 17, 18 ოქტომბერს. დაკრძალვა 19 ოქტომბერს 5 სა-ათზე, გამოსვენება ქ. ზუგდიდი გორის ქ. 3.

---

ბიძია დათო შენგელია, ბიცოლა მერი, შვილი ნონა. სიძე სოსო მურღულია, შვილიშვილები: ბე-სიკი, ილია მურღულიები იუწყე-ბიან

**დარეჯან ბოჩოს ასულ ნაყოფიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 22 ოქტომბერს გალში.

---

საქართველოს სამრეწვო გეოფი-ზიკური ექსპედიციის კოლექტივი თანაუგრძნობს გია ჩახავას დე-დის მოკონას გარდაცვალების გამო.

---

დედა თამარი, მეუღლე რევაზ ქვარცხავა, შვილი ნინო, შვილიშ-ვილი თამრიკო, სიძეები სერგ ანდრიე, გურამ თეთრაშვილი, დე დამთილი ნინა როგავა, დისშვი-ლი ნანა სანებლიძე, მაზლი ლე-ვან ქვარცხავა, რძლები: ტატიანა ბოგატკო, თამარ გუბელაძე, ბიც-ოლები: თამარ მესხია, ვარდო თოდუა, ლენა ჰკადუა, მაზლიშვი-ლები ნათელა, გია, ლევან, ოლ-იკო ქვარცხავები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯ-ახებით იუწყებიან, რომ გარდა-იცვალა

**ერნა არტემის ასული თოდუა-ქვარცხავა.**

პანაშვიდი 16, 17 ოქტომბერს 7 საათზე თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი, მე-4 კვ. მე-2 კორპუსი, მე-3 სადარბაზო, ქ. ზუგდიდში 18 ოქტომბერს 6 საათზე, დავით აღმაშენებლის ქ. 178, დაკრძალვა 19 ოქტომბერს 4 საათზე ზუგდიდში.

---

მეუღლე ანგელინა რაზმაძე, და ქეთო, შვილები: ჯუმბერი, ომარი, ნანული. დოდო. რძლები: გულრუნ, ლიდა, გიული. ნუნუ. ლანა ბუკიები, თამუნა პეტრედი-სი, სიძეები: ბონდო ლოლუა, მე-რაბ კიკალეიშვილი, შვილიშვილ-ები: ელიკო. გიორგი, ნიკო, აჩი-კო. ინა ბუკიები, მაია, სანდრო, ირაკლი ლოლუები, პაატა. გია მი-ქაძეები, შვილთაშვილები: ანუკი. ლეა, მარი, ძმისშვილები: ლია, მირანდა, დინა. იზოლდა, სერგო. ვლადიმერ, თემურ, ნინო ბუკიები. დისშვილები: ნინო. დავით ბაქ-რაძეები ოჯახებით იუწყებიან

**გიორგი ნიკოლოზის ძე ბუკიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18. 19 ოქტომბერს. გამოსვენება 20 ოქტომბერს 4 საათზე, ზუგდიდი, გეგეჭკორის ქ. 2-დან.

---

მეუღლე იზოლდა ლემონჯავა. შვილები ნანა, ნინო. დები: ნანული. გოგუცა. მარგო. ძმები: კაკო. მიტუშა, სიდედრი მელანია, ცოლისძმა ლეო, ცოლისდები: ნოცა, გულიკო. ბიძა ევგენი, მაშიდა ლიუცია, სიძე ანდრო ქუხილავა. რძლები: ია წორწომია. მზია გურჩიანი. დისშვილები: მანანა, მარინა. მედიკო. მანონი. მაია, მადონა. მარიკა. ძმისშვილ-ები: გიორგი. დიოგენი, დავითი, არდევანი, ნანი. ნინო. მამიდაშ-ვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვი-ლები ოჯახებით იუწყებიან

**მარლონ (კოკი) გრიგოლის ძე მებონიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16 ოქტომბერს. დაკრძალვა 17 ოქტომბერს ზუგდიდი, კეცხოველის პირველი შესახვევი 23.

---

ლავრენტი ლატარია ოჯახით იუწ-ყება სიძის

**გული ვლადიმერის ძე სიჭინავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნ-ობს განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე ლილი, შვილები: ლიანა. კარლო. დოდო. ზოია. დათო სა-ხოკიები, დები: ლიდია, ნადია, რძლები: იზო ბუკია, ზაირა კვი-რკველია, შურა მიქავა. სიძეები: ნიკა ლექვთაძე, გურამ ადამია, რამაზ ხასაია, დემურ კოპალია-ნი, შვილიშვილები: მაია, ლელა, ლამა, ვარლამ, ზაზა სახოკიები, კობა, კახა ლექვთაძეები, ზური-კო ადამია, რიტა, რომან ხასაიე-ბი. შვილთაშვილი მარიამ კოპა-ლიანი. ცოლისძმები: დუდა, ჟორ-ჟი მიქავები, დისშვილები, ბიძაშ-ვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვარლამ ანდრიას ძე სახოკია.**

პანაშვიდი 17, 18, 19 ოქტომბერს. გამოსვენება 20 ოქტომბერს 17 საათზე, ზუგდიდი, გაგარინის ქ. 57-დან.

---

მეუღლე გუდუ, შვილები: თარა-ში. ველოდი, გულნარა. მარდონი. ნოდარი, გენადი, ვალერი, რძლე-ბი: ძაბია, სულიკო. ციური, ნა-ტო, როზა. მზია. თამარა, შვილი-შვილები: მასტერი, ფირუზა, გულ ნაზი, მაყვალა, ვახტანგი, ხვიჩა, გოჩა, დარიკო. ხინო, ელზა, გე-ხური, ეკა, ხათუნა, პაატა, მაია, მამუკა, ძანუჩარი, მალხაზი, აქსა-ნა ლუკავები, ჯანსუხი, ფაქიზო ჰურღულიები, ძმისშვილები: პა-ლადი, იპოლიტე, ნათელა, ნორო, იგრი გაბუნიები, მაზლიშვილები: შახი, ვარდო. თამარა. ლული ლუკავები, მზახლები ვასო გულ-ედანი, ანტი ჩარგაზია, ვარლამ ბაოქაია, შვილთაშვილები და ახ-ლო ნათესავები იუწყებიან

**თამარა ძუკუს ასულ გაბუნია-ლუკავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18 ოქტომბერს. დაკრძალვა 19 ოქტომბერს სოფელ ჯიხაშკარში.

---

თანაკლასელები თანაუგრძნობენ რევაზ ქვარცხავას მეუღლის

**ერნა თოდუას**

გარდაცვალების გამო.

---

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის სამეგრელოს სამხარეო გაერთიანება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ საქართველოს ერ-თიანობისათვის ბრძოლაში ტრა-გიკულად დაიღუპა ჩვენი კუთხის სასახელო შვილი, ეროვნული გვა-რდიის წევრი

**ნუგზარ შარავა.**

---

ზუგდიდის სოფლისა და სატყეო მეურნეობის რაიონული საწარ-მოო გაერთიანების სისტემის, იურიდიული სამსახურის მუშაკე-ბი ღრმა მწუხარებით იუწყებიან კოლხიდის კოლმეურნეობის უ რისი იურისკონსულტის

**მარლონ გრიგოლის ძე მებონიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნო-ბენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები: ლეილა. ჯუმბერი. ციალა. გული. ძმა სერგო. დები: მავრა. სიმა ჩუხუები, რძალი ნელი მინჯორაია, მული ნათელა. სიძეები: არჩილ გუგუჩია, მურმან ცაგურია, ნუგზარ გვასალია, შვილიშვილები: მარინა. ნუკრი. მურათი, ნანა. ლია, პაპუნა. ძმისშვილები, დისშვილები, [illegible]იშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ფუფული ნესტორის ასული ჩუხუა-ჯიქიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17, 18 ოქტომბერს. დაკრძალვა 19 ოქტომბერს სოფ. კახათში.

---

დედა ციცო. ძმა გურამი. თანანი. რძლები: ნინა. მაკა. ძმისშვილები: მარინა, ლიანა. დისშვილები: ქეთინო. კახა, სიძეები: იური კახიანი, დათო გოროზია, ბოიკა ქემიშევი. ბიცოლები: ვარდიშა, შურა. თალიკო. მამიდა ნათელა, ბიძა ჩაკიმე გვასალია, დეიდა ნოცა მიშინოშვილი, ბიძაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნიაზი ჭოჩას ასული კუტალია.**

პანაშვიდი 16, 17. 18 ოქტომბერს, დაკრძალვა 19 ოქტომბერს სოფ. ძვ. აბასთუმანში.

---

შვილები: ლონდა. თამაზი შედანიები, რძლები: მადონა სახოკია, ბოჟოლო ჯაბუა, სიძეები ფილიქსი წყაროზია. ზურაბი ბერულავა, პაატა ადამია, მამუკა წირღვავა, შვილიშვილები: ნუგზარი, თამრიკო შედანიები, ონისე. ასმათი, მაია წყაროზიები, ალექსანდრა, ნინო ბერულავები, შვილთაშვილები ნინო, ნიკუშა ადამიები, ნიკა წყაროზია, მარიკა წირღვავა, მზახლები: ნათელა. ტიტე სახოკიები, ლუბა ბერულავა, ძმისშვილები: მერი. ნათელა. გულნარა. ნაზო. ნომი. პალიკო. ბოჩია შელონიები. დისშვილები ნუცა, იური მოლაშხიები, მაზლი დიმიტრი ჯაბუა, მაზლიშვილები: ცეზი. მამია, ალიკო ჯაბუები. ბიძაშვილები: ჟუჟუნა. ციალა დარასელიები, დეიდაშვილები: ვალიკო. გიული ზერაიები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**გრიგოლ ნიკოლოზის ძე შედანიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18, 19 ოქტომბერს. დაკრძალვა 20 ოქტომბერს ს. კახათში.

---

მეუღლე ნანული, შვილები: გელა, ლელა, სიდედრი ბაბუცა ლატარია, დები: ლამარა, ლოლა, ძმა ზაური. რძლები ეთერ ზარანდია, ბელა აფხაზავა, სიძე ჯემალ წიწავა, ცოლისდა ნონა, ცოლისძმა დემურ ფიტელავა, ქვისლი რეზო ტაბაღუა, დისშვილები: ბადრი, ზურაბი. გოჩა ჰეტიები, ირმა, თენგო წიწავები, ძმისშვილი ელზა, ბიცოლები: ვენერა, ქსენია საჯაიები, მარგო ჯალაღონია, მერი აბშილავა, ბიძები გრიშა ჯალაღონია, ლავრენტი ლატარია, მამიდაშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**გული ვლადიმერის ძე სიჭინავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18, 19 ოქტომბერს. დაკრძალვა 20 ოქტომბერს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, კოლხეთის (ყოფილი ლენინის) ქ. 54-დან.

---

გაზეთ „ოდიშის“ რედაქციისა და ზუგდიდის სტამბის მუშაკე-ბი იუწყებიან პალიკო აბსანძის დედის

**ლენა ნიკოს ასულ თორია-აბსანძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნ-ობენ განსვენებულის ოჯახს.

---

კოლმეურნეობა „კოლხიდას“ გამგეობა, პროფკომიტეტი და ავტოპარკი იუწყება ამავე კოლმეურნეობის მექანიზატორის

**ტრისტან ვალერიანეს ძე ჯიქიას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ნარაზენის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი იუწყება

**ლეონტი (ხუტა) ალექსანდრეს ძე ქობალიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ძმა იპოლიტე, რძალი ნაირა. ძმის შვილები: დალი. ნონა, ბორისი, ელდარი, როზა კვარაცხელიები, სიძე ზურაბ თორდია, შვილიშვილები: მანუჩარ, მარიკა თორდიები იუწყებიან

**ნაპო ვასილის ძე კვარაცხელიას**

გარდაცვალებას.

---

გრიგოლ აბულაძე შვილებით: აზა, ეთერი. რძალი სვეტა თოლორაია. შვილიშვილები: ლევანი, დათო. მაიათი იუწყებიან სიძის

**ტრისტან ვალერიანეს ძე ჯიქიას**

გარდაცვალებას.

---

რეზო ტაბაღუა ოჯახით იუწყება ქვისლის

**გული ვლადიმერის ძე სიჭინავას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-28-69, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, ხშრ. მ. .ფო.ა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, ზ 23 07, ტირაჟი 8000 შეკ. №4570